გ) უცხოეთის თევზსაჭერი და სხვა სარეწი გემების მიმართ, რომლებიც ეწევიან რეწვას საქართველოს ზღვაში, საქართველოს შიდა წყლებში ან სასაზღვრო მდინარეების, ტბების წყლებსა და სხვა წყალსატევისასაზღვრო ძალებს არ უწევენ შეიარაღებულ წინააღმდეგობას;

დ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადასული ცხოველების მიმართ.

4. იარაღის გამოყენებისას, როგორც წესი, დაუშვებელია ტყვიის მოძრაობა გაგრძელდეს მოსაზღვრული ტერიტორიაზე.

5. სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ან დარღვევის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით იარაღისა ტექნიკის გამოყენების შემთხვევას 48 საათის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემავალი უფლებამოსილი ორგანო ატყობინებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

## მუხლი 35

სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემულებამოსილ ორგანოებში გამოიყენება სპეციალური საშუალებები:

- ა) რეზინის ხელკეტი;
- ბ) ცრემლსადენი გაზი;
- გ) ხელბორკილი;
- დ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების დანიშნულების შუქბგერითი მოწყობილობა;
- ე) დაბრკოლებათა დამანგრეველი საშუალებები;
- ვ) ტრანსპორტის იძულებითი გასაჩერებელი საშუალებები;
- ზ) წყალსატყორცნები და ჯავშანმანქანები;
- თ) სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები;
- ი) სპეციალური საღებავი საშუალება;
- კ) სამსახურებრივი დანიშნულების ძალი და ცხენი;
- ლ) თვალთვალის ტექნიკური საშუალებები;
- მ) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა სპეციალური საშუალებები.

## მუხლი 36



1. საქართველოს სასაზღვრო პოლიტიკის განსახორციელებლად სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად, აგრეთვე სასაზღვრო ინციდენტების დასარეგულირებლად შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს საქართველი წარმომადგენელს - სასაზღვრო კომისარს და განუსაზღვრავს მას უფლებამოსილებებს.
2. საქართველოს სასაზღვრო წარმომადგენელს - სასაზღვრო კომისარს უფლება აქვს შესაბამის სას დადებული სამთავრობო შეთანხმების საფუძველზე სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად სახელმწიფო საზღვარი.

3. საქართველოს სასაზღვრო წარმომადგენელი - სასაზღვრო კომისარი სამსახურებრივი მოვალეობის შე აფორმებს თავის აპარატში შემავალი თანამშრომლების ერთჯერად მოწმობებს მათ მიერ სახელმწიფ მასთან ერთად გადასვლის და გადმოსვლის შესახებ.


4. სასაზღვრო წარმომადგენლის - სასაზღვრო კომისრის დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მ

## მუხლი 37

სასაზღვრო გამტარ პუნქტებში სასაზღვრო რეჟიმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრი შემავალი უფლებამოსილი ორგანო საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - შემოსავლების შეთანხმებული ბრძანებით.

### ძირითადი სასაზღვრო ბოძი

ბოძი თეთრია, ყოველ გვერდზე შუა ნაწილში დატანილია 10 სმ სიგანის წითელი ვერტიკალური ხაზი. მიმავე ფერისა და სიგანის ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც ბოძის ვერტიკალური კიდეებიდან დაშორ სანტიმეტრით. ბოძის ზედა ნაწილში მართვულია პირამიდის ფუძიდან 5 სანტიმეტრით ქვემო რესპუბლიკის მხარეს მაგრდება საქართველოს სახელმწიფო გერბი. სახელმწიფო გერბის ქვედა სანტიმეტრის დაშორებით წყდება ვერტიკალური წითელი ხაზი, რომელიც გრძელდება 12 სანტიმ წითელი ხაზების წყვეტის ადგილზე ზევიდან და ქვევიდან 2 სანტიმეტრის დაშორებით შავი საღებავით ნომერი.



### დამატებითი სასაზღვრო ბოძი სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე


1. საქართველოს ტერიტორიის მხრიდან ბოძის წინა და მარჯვენა გვერდები შეღებილია საქართველო დროშის ფერებში – გვერდები თეთრია, შუა ნაწილში დატანილია 10 სმ სიგანის წითელი ვერტიკალური 1 კვეთს იმავე ფერისა და სიგანის ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც ბოძის ვერტიკალური კიდეებიდან თითო სანტიმეტრით. საქართველოს ტერიტორიის მხრიდან ბოძის წინა ზედა ნაწილში მართვული




ფურციდან 5 სანტიმეტრით ქვემოთ წყდება ვერტიკალური წითელი ხაზი, რომელიც გრძელდება 22 შემდეგ. წითელი ხაზების წყვეტის ადგილზე ზევიდან და ქვევიდან 2 სანტიმეტრის დაშორებით შიწერება ბოძის ნომერი.

2. თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიის მხრიდან ბოძის წინა და მარჯვენა გვერდები იღება რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის ფერებში.

წინა გვერდი საქართველოს ტერიტორიის  
მხრიდან




მარჯვენა გვერდი  
საქართველოს ტერიტორიის  
მხრიდან




### დამატებითი სასაზღვრო ბოძი მდინარეზე გამავალ სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე

ბოძი თეთრია, ყოველ გვერდზე შუა ნაწილში დატანილია 10 სმ სიგანის წითელი ვერტიკალური ხაზი. მიმავე ფერისა და სიგანის ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც ბოძის ვერტიკალური კიდეებიდან დაშორ სანტიმეტრით. დამატებითი სასაზღვრო ბოძის ზედა ნაწილში მართკუთხა პირამიდის ფუძიდან 5 ქვემოთ თურქეთის რესპუბლიკის მხარეს წყდება ვერტიკალური წითელი ხაზი, რომელიც გრძელდება 2 შემდეგ. წითელი ხაზების წყვეტის ადგილზე ზევიდან და ქვევიდან 2 სანტიმეტრის დაშორებით შიწერება ბოძის ნომერი.

წინა გვერდი თურქეთის რესპუბლიკის  
ტერიტორიის მხრიდან



დანარჩენი გვერდები



# საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმის წესები

საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმის წესების (შემდგომი ნაოსნობის) მიზანია საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის უსაფრთხოების გადარჩენისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფა.

## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმი

1. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმი (შემდგომი რეჟიმი) მოიცავს:

ა) ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების მოწყობის, საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ზღვაში ზომამცირე გემებით სარგებლობისა და ცურვის წესებს;

ბ) საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სამეურნეო, სარეწი, საძიებო და სხვანი განხორციელების წესებს.

2. ეს წესები ვრცელდება:

ა) საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში, გარდა საქართველოს ნავსადგურების, მცურავ (მყოფ) ზომამცირე გემებზე, განურჩევლად გემის დროშის სახელმწიფოსა და ფორმისა;

ბ) ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც იმყოფებიან, ცურავენ ან ახორციელებენ ამ მუხლის „ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ზღვაში, აგრეთვე ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების მფლობელებზე.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ზომამცირე გემი:

ა.ა) თვითმავალი გემი 100 ტონაზე ნაკლები საერთო ტევადობით;

ა.ბ) არათვითმავალი აფრიანი გემი 100 ტონაზე ნაკლები საერთო ტევადობით, აგრეთვე სხვა არათვითმავალი გემი 100 კილოგრამი ან მეტი ტვირთამწეობით, ბაიდარი 150 კილოგრამისა და მეტი ტვირთამწეობით ნავი, რომლის ტვირთამწეობაა 225 კილოგრამი ან მეტი);

ბ) ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტი (შემდგომში - ბაზირების პუნქტი) - ზომამცირე გემებისათვის ნავმისადგომი, რომელიც განთავსებულია საზღვაო ნავსადგურების ფარგლებს გარეთ, შედგანსაზღვრული აკვატორიისაგან, სახმელეთო ტერიტორიისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობებისაგან.

## თავი II. ბაზირების პუნქტების მოწყობა



### **მუხლი 3. ბაზირების პუნქტების მოწყობის წესები**

1. ბაზირების პუნქტების ტერიტორია აღიჭურვება განათებით, საჭიროების შემთხვევაში, შემოიფარგლება არანაკლებ 2მ სიმაღლის ღობით, მათ შორის, ზღვის მხრიდანაც.
2. ბაზირების პუნქტი აღინიშნება თეთრი ფარით, რომლის ზომაა 100X60 სმ, მასზე აღინიშნება მონაცე დასაშვები ზომამცირე გემების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ.
3. ბაზირების პუნქტის ტერიტორიაზე განლაგდება გასაბერი ნავების, ნიჩბების, აფრების, კიდუ სამაშველო-ავარიული აღჭურვილობის შესანახი სათავსი საკეტით.
4. ბაზირების პუნქტი აღიჭურვება:
  - ა) ზომამცირე გემების დასამაგრებელი ბოძებით (არანაკლებ 15 სმ დიამეტრისა და 60 სმ სიმაღლ რგოლებით, საკეტებითა და 2 მ სიგრძის ბაგირებით (ჯაჭვებით);
  - ბ) ნავმისაბმელი მოწყობილობით;
  - გ) საშტორმო გაფრთხილების სასიგნალო ანძით;
  - დ) საინფორმაციო სტენდით, რომელზეც აღინიშნება ინფორმაცია ბაზირების პუნქტის მუშაობის რეჟიმის, მათ შორის, ზომამცირე გემებით სარგებლობისა და ცურვის წესების შესახებ.
5. ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტიდან გასვლისა და შემოსვლისას სავალდებულოა მათი სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელშიც აღინიშნება ზომამცირე გემების:
  - ა) სარეგისტრაციო ნომერი ან/და სახელწოდება;
  - ბ) მოსარგებლის სახელი და გვარი (მიეთითება პირი, რომელიც მართავს ზომამცირე გემს);
  - გ) ბაზირების პუნქტიდან გასვლის დრო;
  - დ) ბაზირების პუნქტიდან გასვლის მიზანი და მარშრუტი;
  - ე) დანიშნულების ადგილი;
  - ვ) ნაოსნობის ფაქტობრივი დრო.
6. აკრძალულია ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტიდან გასვლა, თუ:
  - ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის აღნიშნული გემის განმასხვავებელი ნიშ;
  - ბ) ზომამცირე გემი ტექნიკურად გაუმართავია;
  - გ) პროგნოზირებული და/ან ფაქტობრივი ჰადრომეტეოროლოგიური პირობები სახიფათოა შესაბამის ზომამცირე გემის უსაფრთხო ნაოსნობისათვის.
7. ბაზირების პუნქტის მფლობელი ვალდებულია დანიშნოს ბაზირების პუნქტის მოვლასა და კუპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირი.
8. ფიზიკური პირის კუთვნილი ბაზირების პუნქტი, რომელსაც იგი არაკომერციული მიზნით მფლობელობაში არსებული ზომამცირე გემის სადგომად, აღჭურვილი უნდა იყოს ამ მუხლის მექვეპუნქტის შესაბამისად.
9. ბაზირების პუნქტების (მათ შორის, რეკრეაციულ ადგილებში) მოწყობის საკითხს წყვეტს და ბაზირ



მოწყობის ადგილს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო სასაზღვრო სანაპირო დაცვის დეპარტამენტთან (შემდგომში – სანაპირო დაცვის დეპარტამენტი) შეთანხმებით, გარდა 3 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 28.03.2019წ.

#### **მუხლი 4. ბაზირების პუნქტებში ზომამცირე გემების შენახვის წესი**

1. ბაზირების პუნქტებში ზომამცირე გემები ინახება ბაგირების (ჯაჭვები) საშუალებით ლითონის რგ ბოძებზე დამაგრებულ და საკეტით ჩაკეტილ მდგომარეობაში ან საკეტიან სათავსში, რომლის გა ზომამცირე გემის მფლობელთან.
2. გასაბერი ნავები ინახება საკეტიან სათავსში, რომლის გასაღები ინახება ბაზირების პუნქტის ექიმის მფლობელთან.
3. დასაშვებია იმ ზომამცირე გემების წყალზე შენახვა და ღუზაზე გაჩერება, რომელთა წონის, ზომამცირე გემების გამქირავებელი პუნქტის სახით, საქართველოს კანონმდებლობით შემთხვევაში და წესით.

#### **მუხლი 5. რეკრეაციულ ადგილებში ბაზირების პუნქტების მოწყობა**

1. ბაზირების პუნქტი შეიძლება მოწყობის პლაჟზე, როგორც მარტივი ტიპის მსუბუქი კონსტრუქციის ნაშორის, ზომამცირე გემების გამქირავებელი პუნქტის სახით, საქართველოს კანონმდებლობით შემთხვევაში და წესით.
2. პლაჟზე ბაზირების პუნქტის მოწყობის შემთხვევაში, მასზე არ ვრცელდება ამ წესების მე-3 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებითა და მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.
3. რეკრეაციულ (პლაჟებისა და ბანაობის) ადგილებში ზომამცირე გემების გასაქირავებელი პუნქტი აღჭიული სამაშველო ინვენტარით (სამაშველო რგოლი, ჟილეტი, თოკი) და უნდა ჰყავდეს წყალზე უსაფრო ინსტრუქტორი.
4. ძრავიანი და იალქნიანი ზომამცირე გემების პლაჟების ნაპირიდან გასვლა-შემოსვლა უნდა წარმოებული სპეციალური ტივტივებით შემოღობილი დერეფნებიდან, რომელთა სიგრძე ნაპირიდან არანაკლებ 100 სიგანე არანაკლებ - 25 მეტრი. მათი შემდგომი ნაოსნობა ხორციელდება ნაპირის გასწვრივ 100 მეტრის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 28.03.2019წ.

### **თავი III. ზომამცირე გემებით სარგებლობა და ცურვა**

#### **მუხლი 6. ზომამცირე გემებით სარგებლობის წესი**

1. ზომამცირე გემებით სარგებლობის წესი განსაზღვრავს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში ზომამცირე გემების გამოყენების პირობებს.
2. აკრძალულია ზომამცირე გემების გამოყენება:
  - ა) გემის სარეგისტრაციო მოწმობის გარეშე;
  - ბ) ტექნიკური ვარგისიანობის მოწმობის გარეშე;
  - გ) მგზავრთა რაოდენობისა და ტვირთამწეობის დადგენილი ნორმების დაცვის გარეშე;



- დ) აფრების დაშვებული ფართობის დადგენილი პირობების დარღვევით;
- ე) აუცილებელი სამაშველო, სახანძრო, რადიო და სხვა აღჭურვილობის გარეშე ან თუ ისინი გაუმართავის;
- ვ) ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების გარეშე;
- ზ) აფრის ან ძრავის დაყენებით, რომელიც არ არის გემის სარეგისტრაციო და ტექნიკური ვარგისობის განსაზღვრული.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 28.03.2019წ.

## მუხლი 7. ზომამცირე გემის მფლობელისა და იმ პირის ვალდებულებები, რომელიც მართავს ზომამცირე

ზომამცირე გემის მფლობელი ან პირი, რომელიც მართავს ზომამცირე გემს, ვალდებულია:

- ა) დაიცვას ამ წესებით დადგენილი მოთხოვნები, მგზავრთა უსაფრთხოება, ზღვის გარემო, უზრუნველყოფის უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- ბ) გამოყენებამდე შეამოწმოს ზომამცირე გემის ტექნიკური გამართულობა, მათ შორის, სამაშველო აღჭურვის გამოწვევის მდგრადობის გარეშე ასევე ასევე ასევე გადმოსვლის წესები, აგრეთვე უსაფრითო მოთხოვნები;
- გ) გააცნოს მგზავრებს ზომამცირე გემზე ასვლის, ყოფნის და გადმოსვლის წესები, აგრეთვე უსაფრითო მოთხოვნები;
- დ) განახორციელოს ზომამცირე გემის ნაოსნობა (მართვა) მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს დასაშველი კატეგორიის ზომამცირე გემისათვის;
- ე) გაუწიოს დახმარება ადამიანებს, რომლებიც საჭიროებენ შველას წყალზე. უბედური შემთხვევა დაბინძურებისა და ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია დაუყონებლივ შეატყობინოს შესაბამის;
- ვ) შეასრულოს ბაზირების პუნქტით სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნები;
- ზ) ზომამცირე გემების საწვავით გამართვისას დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების წესები;
- თ) დაიცვას ზომამცირე გემის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით და მოთხოვნები.

## მუხლი 8. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში ზომამცირე გემების ცურვი

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ზღვაში ზომამცირე გემების ცურვის პირობები განისაზღვრება ამ წესით.

2. აკრძალულია:

- ა) ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების მდგომარეობაში ზომართვა;
- ბ) ზომამცირე გემის სამართავად გადაცემა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ზემოქმედების მდგომარეობაში მყოფი პირისათვის;
- გ) მცურავი საშუალებების სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე პირისათვის, თუ მარც აუცილებლობა დადგენილია კანონმდებლობით;
- დ) ძრავის მქონე ზომამცირე გემების ნაოსნობა ბაზირების პუნქტების აკვატორიაში 6 კვანძზე (11 კ სიჩქარით);



- ე) ზომამცირე გემებით მოძრაობა ნისლში ან სხვა ისეთ არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირ შეზღუდული ხილვადობის გამო შეუძლებელია ორიენტირება;
- ვ) სხვა გემებისათვის ნაოსნობის შეფერხება;
- ზ) ნაპირიდან და ბაზირების პუნქტიდან დაშორების დადგენილი მანძილის უგულებელყოფა;
- თ) სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის შეტყობინება შეთანხმების გარეშე ბუქსირით წაყვანის მიზნით სხვა გემებზე მიბმა ან სხვა გემების ბუქსირზიდვა;
- ი) აფრის ან ძრავის დაყენება ზომამცირე გემებზე, თუ ეს არ არის გემის სარეგისტრაციო და ტექნიკური მოწმობებით გათვალისწინებული;
- კ) ზღვაში გასვლა დღე-ღამის ბნელ დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს გათვალისწინებულია სარჯ ტექნიკური ვარგისიანობის მოწმობებით;
- ლ) მოტივტივე სანავიგაციო ნიშნებთან ან უსაფრთხოების ზონებში არსებულ ობიექტებთან მისვლა გემის მათზე მიბმა;
- მ) ზომამცირე გემიდან ნავთობპროდუქტების ჩაღვრა, მავნე ნივთიერებებისა და დამაბინძურებელ აგრეთვე მასალების ჩაყრა ან ჩამარხვა;
- ნ) მოძრაობის გამყოფ სისტემაში გაჩერება და დგომა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვა შემთხვევებისა;
- ო) მოძრაობის დროს ერთი ზომამცირე გემიდან მეორეზე გადასხდომა;
- პ) საქართველოს შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიული ზღვის დროებით შეზღუდულ ან აკრძალ და აკვატორიაში ცურვა;
- ჟ) (ამოღებულია - 26.03.2019, №157);
- რ) თვითმავალი ან იალქნიანი ზომამცირე გემით პლაჟისა და სხვა საბანაო/საცურაო აკვატორია მანევრირება, გარდა ამ წესების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ს) სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან შეტყობინებისა და შეთა სხვა გემებთან მისვლა და მიბმა;
- ტ) გამცილებლის გარეშე სკოლამდელი ასაკის ბავშვების გადაყვანა;
- უ) (ამოღებულია - 26.03.2019, №157);
- ფ) დღე-ღამის ბნელ დროს სანავიგაციო შუქების გამოყენების გარეშე ცურვა;
- ქ) რეკრეაციულ (პლაჟებისა და ბანაობის) ადგილებში ზომამცირე გემებზე მგზავრთა აყვანა ან გემები გარდა ამ წესების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დერეფნებისა;
- ღ) ზომამცირე გემის სამართავად გადაცემა პირისათვის, რომელსაც არ შესრულებია თექვსმეტი წელი.

3. პირები, რომლებიც მართავენ ზომამცირე გემს, ვალდებული არიან შეასრულონ ამ მუხლის განსაზღვრული მოთხოვნები, ზღვაში გემების შეჯახების პრევენციის საერთაშორისო წესები, ზომამცირე გემების უავარიო ნაოსნობა, თავიდან აიცილონ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანი დაიცვან თევზჭერის წესები და გარემო.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 28.03.2019წ.



## **მუხლი 9. ზომამცირე გემების საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში გასვლის წესი**

1. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში ზომამცირე გემების გარაკომერციული მიზნით ფიზიკურ პირთა მფლობელობაში არსებული ნიჩბიანი და გასაბერი (ძრავის გადა ბაიდარებისა, ხორციელდება სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედა წინასწარი შეტყობინების შემდეგ.
2. სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის საქართველოს წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში გასვლის შესახებ წინასწარ შეტყობინება ხდება ულტრამოკრადიოაღჭურვილობით მე-16 არხზე.
3. სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის საქართველოს წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში გასვლის წინასწარ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს:
  - ა) ზომამცირე გემის დასახელება ან სარეგისტრაციო ნომერი;
  - ბ) ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთა რაოდენობა;
  - გ) ცურვის რაიონი;
  - დ) ზღვაში გასვლის მიზანი.
4. დარღვევად ჩაითვლება:
- ა) საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში ზომამცირე გემის გასვლა სან დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, გარპირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ბ) სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის არასწორი მიწოდება;
- გ) საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში ყოფნის დროს სანაპირო დაცვის და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის მიწოდებულ მონაცემებში ცვლილების შეუტყობინებლ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 28.03.2019წ.

## **თავი IV. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სამეურნეო, სარეწი, საძიესაქმიანობის განხორციელება**

## **მუხლი 10. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სამეურნეო, სარეწი, საძიესაქმიანობის განხორციელების წესები**

1. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიული სამეურნეო, სარეწი, საძიებო და სხვა საქმიანობის (შემდგომში - საქმიანობა) განხორციელებაზე ვრცელ გათვალისწინებული მოთხოვნები.
2. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში საქმიანობა ხორციელდება პოლიციისათვის შეტყობინების საფუძველზე და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიული საქმიანობის განხორციელების შეჩერება ან აკრძალვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენ.
4. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში საქმიანობის განხორციელ



გამოყენებული გემების მფლობელები და ის პირები, რომლებიც მართავენ ამ გემებს, ვალდებული არ წესებითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები ნაოსნობის უსაფრთხოების უზარესობის დაბინძურების თავიდან აცილებისა და ადამიანთა გადარჩენის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 28.03.2019წ.

## თავი V. დასკვნითი დებულებანი

### მუხლი 11. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმის დაცვი

1. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმის დაცვა ახორციელებს სანაპირო დაცვის დეპარტამენტი.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსტრანსპორტის სააგენტო უზრუნველყოფს სანაპირო დაცვის დეპარტამენტისთვის ზომამცირე გემების გემების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ბაზის ხელმისაწვდომობას.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 28.03.2019წ.

### მუხლი 12. პასუხისმგებლობა წესების დარღვევისათვის

ამ წესების დარღვევისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არასამხედრო გემის შემოწმებისა და დაკავების შესახებ ოქმების შევსების წესი

### მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს არასამხედრო გემის შემოწმებისა და დაკავების შესახებ ოქმების შევსების, შინაარსის გამო შენიშვნის გაკეთების სამართლებრივ საფუძვლებს.

### მუხლი 2

1. არასამხედრო გემის შემოწმებისა და დაკავების შესახებ ოქმების ფორმები (ფორმა №1 და ფორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს (შემდგომში – უფლებამოსილი თანამშრომელი) მიერ.

2. არასამხედრო გემის შემოწმებისა და დაკავების შესახებ ოქმების ფორმები ივსება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება უფლებამოსილ თანამშრომელს, ხოლო მეორე – გადაეცემა არასამხედრო გემის,

### მუხლი 3



1. არასამხედრო გემის შემოწმების შესახებ ოქმი უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ივსება იმ შემთხვევაში, რომ არასამხედრო გემის შემოწმების შედეგად არ იქნა აღმოჩენილი სამართალდარღვევა;
- 2) ჩადენილი სამართალდარღვევა არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარებული გემის დაკავება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არასამხედრო გემისა და მას დაკავების უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი, გვარი და თანამდებობა;

## მუხლი 4

არასამხედრო გემის შემოწმების შესახებ ოქმის (ფორმა №1):

- ა) პირველ და მე-2 პუნქტებში აღინიშნება ოქმის შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) და ადგილი;
- ბ) მე-3 პუნქტში აღინიშნება უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი, გვარი და თანამდებობა;
- გ) მე-4 პუნქტის „ა-ვ“ ქვეპუნქტებში მიეთითება მონაცემები არასამხედრო გემის შესახებ;
- დ) მე-5 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებში მიეთითება არასამხედრო გემის კაპიტნის სახელი და გვარი, დაბა მოქალაქეობა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია, ნომერი ან პირადი ნომერი;
- ე) მე-6 პუნქტში აღინიშნება არასამხედრო გემის შემოწმების ადგილი (საქართველოს საზღვაო სივრცეში ან საზღვაო რაიონი და გეოგრაფიული კოორდინატები), დრო და შედეგები;
- ვ) მე-7 პუნქტში მიეთითება თარჯიმნის სახელი, გვარი და მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ზ) მე-8 პუნქტში მიეთითება მონაცემები ოქმზე დართული დოკუმენტების თაობაზე.

## მუხლი 5

1. არასამხედრო გემის დაკავების შესახებ ოქმის (ფორმა №2) პირველი-მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტები გამოიყენება არასამხედრო გემის შემოწმების შესახებ ოქმის შევსებისათვის დადგენილი წესები, თუ ამ რამ არ არის გათვალისწინებული.
2. არასამხედრო გემის დაკავების შესახებ ოქმის მე-6 პუნქტში აღინიშნება არასამხედრო გემის დაკავების საზღვაო სივრცეში კონკრეტული საზღვაო რაიონი და გეოგრაფიული კოორდინატები საფუძველი.

## მუხლი 6

1. თუ შემოწმებული ან დაკავებული არასამხედრო გემის კაპიტანს უფლებამოსილი თანამშრომლი არამართებულად მიაჩნია ან არ ეთანხმება შემოწმების ან დაკავების შესახებ ოქმის შინაარსს, მას უფლება შენიშვნა თვით ოქმში ან ოქმისათვის დართულ დოკუმენტზე.
2. თუ არასამხედრო გემის კაპიტანი ხელს არ აწერს არასამხედრო გემის შემოწმების ან დაკავების უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ოქმში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.



**არასამხედრო გემის შემოწმების შესახებ ოქმი**

1. \_\_\_\_\_

2. \_\_\_\_\_

შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

შედგენის ადგილი

3. \_\_\_\_\_

ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი, გვარი, თანამდებობა

4. არასამხედრო გემის: ა) \_\_\_\_\_ ბ) \_\_\_\_\_

მოდელი (ტიპი)

დასახელება (სარეგისტრაციო №)

გ) \_\_\_\_\_ დ) \_\_\_\_\_ ე) \_\_\_\_\_ ვ) \_\_\_\_\_

დროშა

IMO-ს ნომერი

საძახისი

მიწერის ნავსადგური

5. გემის კაპიტნის: ა) \_\_\_\_\_ ბ) \_\_\_\_\_

სახელი, გვარი

დაბადების თარიღი

გ) \_\_\_\_\_ დ) \_\_\_\_\_

მოქალაქეობა

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და № ან პირადი №

6. არასამხედრო გემის შემოწმების ადგილი, დრო და შედეგები:

---

---

---



7. \_\_\_\_\_

თარჯიმნის სახელი, გვარი და მისამართი

8. ოქმის თან ერთვის:

ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი თანამშრომელი \_\_\_\_\_

ხელმოწერა

გემის კაპიტანი \_\_\_\_\_

ხელმოწერა (ხელმოწერაზე ან ოქმის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა)

თარჯიმანი: \_\_\_\_\_

ხელმოწერა

არასამხედრო გემის დაკავების შესახებ ოქმი

1. \_\_\_\_\_ 2. \_\_\_\_\_

შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

შედგენის ადგილი

3. \_\_\_\_\_

ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი, გვარი, თანამდებობა



4. არასამხედრო გემის: а) \_\_\_\_\_ ბ) \_\_\_\_\_

მოდელი (ტიპი)

დასახელება (სარეგისტრაციო №)

გ) \_\_\_\_\_ ღ) \_\_\_\_\_ ქ) \_\_\_\_\_ ზ) \_\_\_\_\_

დროშა

IMO-ს ნომერი

საძახისი

მიწერის ნავსადგური

5. გემის კაპიტნის: а) \_\_\_\_\_ ბ) \_\_\_\_\_

სახელი, გვარი

დაბადების თარიღი

გ) \_\_\_\_\_ ღ) \_\_\_\_\_

მოქალაქეობა

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და № ან პირადი №

6. არასამხედრო გემის დაკავების ადგილი, დრო და საფუძველი:

---

---

---

---

7. \_\_\_\_\_

თარჯიმნის სახელი, გვარი და მისამართი

8. ოქმის თან ერთვის:

---

---

---

ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი თანამშრომელი \_\_\_\_\_

ხელმოწერა



გემის კაპიტანი \_\_\_\_\_

ხელმოწერა (ხელმოწერაზე ან ოქმის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა)

თარჯიმანი: \_\_\_\_\_

ხელმოწერა

დანართი №6

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №456 – ვებგვერდი, 09.09.2021წ.

**საქართველოს სახმელეთო საზღვარზე სასაზღვრო რეჟიმის წესი  
თავი I. ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1**

1. საქართველოს სახმელეთო საზღვარზე სასაზღვრო რეჟიმის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საქართველოს სახმელეთო საზღვარზე სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში:

- ა) ფიზიკური და იურიდიული პირ(ებ)ის, სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის შესვლის, დროებითი ყოფნისა და გადაადგილების წესს;
- ბ) სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად შესაბამისი შეტყობინების განხორციელების წესს.

2. სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში აკრძალულია პირთა შესვლა და დაშვებული საქმიანობების განხორციელება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისთვის – საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის (შემდგომში – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია) ამ წესით დადგენილი წინასწარი შეტყობინების ან/და საშვის გარეშე.

3. ამ წესის დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

**მუხლი 2**

1. წესის მოქმედება არ ვრცელდება სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე, ასევე სახელმწიფო სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში არსებულ დასახლებულ პუნქტებზე.

2. მოსახლეობის დასვენების ადგილებში წესის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ სპეციალურად დადგენილ ტერიტორიაზე.

**მუხლი 3**

1. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პირი – საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი;

ბ) უფლებამოსილი პირი – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფლებამოსილი მოსამსახურე;



გ) **დაშვებული საქმიანობა** – სამეურნეო, სარეწი, სამეცნიერო კველევითი, ტურისტული, სამშენებლო, სანადირო, სათევზაო და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა;

დ) **შეტყობინება** – სასაზღვრო ზონაში სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ საქმიანობის ხასიათის, მონაწილეთა რაოდენობის, გამოყენებული სარეწი და სხვა სახის ხომალდების, ასევე სხვა სატრანსპორტო საშუალებების, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ადგილისა და დროის შესახებ საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) **საშვი** – დაშვებული საქმიანობის განსახორციელებლად სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში შესვლის, დროებითი ყოფნისა და გადაადგილების შესახებ დადგენილი წესით გაცემული მატერიალური ან ელექტრონული დოკუმენტი;

ვ) **საშვის მაძიებელი** – სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში დაშვებული საქმიანობის განსახორციელებლად შესვლის, დროებითი ყოფნისა და გადაადგილების სურვილის მქონე პირი.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

## თავი II. სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში დაშვებული საქმიანობა

### მუხლი 4

1. სასაზღვრო ზონაში სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის შეტყობინების საფუძველზე.

2. შეტყობინებაში აღინიშნება სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის:

ა) ხასიათი;

ბ) ტექნოლოგია;

გ) ტექნიკური საშუალებები;

დ) სამუშაოთა წარმოების ადგილი, დრო და ხანგრძლივობა;

ე) მონაწილეთა რაოდენობა;

ვ) პასუხისმგებელი პირის ვინაობა;

ზ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ლიცენზია ან ნებართვა (თუ ცალკეული სამეურნეო, სარეწი ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა განეკუთვნება სალიცენზიო ან სანებართვო საქმიანობას).

3. ამ მუხლით დადგენილი წესით შეტყობინების წარდგენა არ ათავისუფლებს პირს სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში შესვლის, დროებითი ყოფნისა და გადაადგილების მიზნით საშვის მიღების ვალდებულებისგან.

4. შეტყობინება საქართველოს სასაზღვრო პოლიციას შეიძლება წარედგინოს დამოუკიდებლად ან საშვის მოთხოვნასთან ერთად.

5. საქართველოს სასაზღვრო პოლიცია უფლებამოსილია, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების დასკვნის საფუძველზე, აუკრძალოს პირს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, თუ პირმა



შეტყობინებაში მიუთითა არასწორი მონაცემები და სამუშაოთა წარმოება ზიანს აყენებს გარემოს ან ადამიანთა ჯანმრთელობას.

## მუხლი 5

1. სასაზღვრო ზოლში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული მის მოვლასთან, სასაზღვრო ნიშნების შემოწმებასა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ონისძიებებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს, სასაზღვრო ზოლში დაუშვას გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობა.

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ სასაზღვრო ზოლში სამეურნეო, სარეწი ან/და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაშვების შემთხვევაში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის შესაბამისი შეტყობინების წარდგენა ხორციელდება ამ წესის მე-4 მუხლით დადგენილი წესით.

## თავი III. სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში შესვლის საშვი

## მუხლი 6

1. სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში პირები დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი საშვის საფუძველზე. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში შესვლის, დროებითი ყოფნისა და გადაადგილების საშვს გასცემს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებების ობიექტურ შეფასებას, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

## მუხლი 7

1. საშვი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური.
2. საშვის გაცემა ხდება მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით.
3. საშვს აქვს მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.
4. საშვის მოქმედების ვადა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ინდივიდუალურად, უფლებამოსილი პირის მიერ.

## მუხლი 8

1. საშვის მაძიებელი ვალდებულია წერილობით მიმართოს საქართველოს სასაზღვრო პოლიციას. აღნიშნულ მიმართვაში მითითებული უნდა იყოს:
  - ა) ინფორმაცია დაშვებული საქმიანობის ხასიათის, ტექნოლოგიის, ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ;
  - ბ) ინფორმაცია დაშვებული საქმიანობის განხორციელების ადგილის, დროისა და ხანგრძლივობის შესახებ;
  - გ) ინფორმაცია დაშვებულ საქმიანობაში მონაწილე პირთა რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირ(ებ)ის კინაობის შესახებ;



დ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ლიცენზია ან ნებართვა (თუ დაშვებული საქმიანობა განეკუთვნება სალიცენზიო ან სანებართვო საქმიანობას);

ე) სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ საშვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

2. საშვი გაიცემა 10 წლის ასაკიდან. 10 წლამდე ასაკის პირთა მონაცემები აისახება კანონიერი წარმომადგენლის ან ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით სხვა სრულწლოვანი პირის სახელზე გაცემულ საშვში. 10 წლამდე პირთა სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში შესვლა, დროებითი ყოფნა და გადაადგილება ხორციელდება საშვის მფლობელ პირთა თანხლებით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული/ მოწყობილი ღონისძიების – ექსკურსიის შემთხვევაში, 10 წლამდე არასრულწლოვნის მონაცემები აისახება ექსკურსიის სრულწლოვანი ხელმძღვანელის (აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი, მასწავლებელი, ექსკურსიის ორგანიზატორ/მომწყობ დაწესებულებაში დასაქმებული სხვა პირი) სახელზე გაცემულ საშვში და არასრულწლოვნის გადაადგილება ხორციელდება მისი თანხლებით.

4. საშვის გაცემის პროცედურა მტკიცდება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის სამართლებრივი აქტით.

## მუხლი 9

1. საქართველოს სასაზღვრო პოლიცია უფლებამოსილია, არ გასცეს საშვი:

ა) თუ საშვის მაძიებლის წერილობითი მიმართვა არ შეესაბამება ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) თუ საშვის მაძიებელმა წარადგინა არასწორი/არასრული ინფორმაცია;

გ) თუ საშვის მაძიებლის ტერიტორიაზე დაშვებით საფრთხე შეიძლება შეექმნას მის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას;

დ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. საშვის მოქმედების პერიოდში საქართველოს სასაზღვრო პოლიცია უფლებამოსილია, გააუქმოს ან/და შეაჩეროს საშვის მოქმედება:

ა) თუ საშვის მფლობელმა წარადგინა არასწორი ინფორმაცია;

ბ) თუ საშვის მფლობელი არღვევს ან არაჯეროვნად ასრულებს სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში შესვლის, დროებითი ყოფნისა და გადაადგილების წესებს;

გ) თუ საფრთხე შეიძლება შეექმნას საშვის მფლობელის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას;

დ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

ე) თუ პირს, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების დასკვნის საფუძველზე, აკრძალული აქვს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;



ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. შეჩერებული საშვის მოქმედება აღდგება შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე.

**მუხლი 10.** საშვის გაცემაზე უარი ან საშვის მოქმედების შეჩერება/გაუქმება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია და საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი IV. სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში მყოფი პირის ვალდებულებები

### მუხლი 11

1. სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში ყოფნისას პირი ვალდებულია:

ა) უფლებამოსილ პირს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს საშვი, პირადობის დამადასტურებელი და ტრანსპორტის სათანადო დოკუმენტები;

ბ) დაემორჩილოს უფლებამოსილი პირის კანონიერ მოთხოვნას;

გ) შეიარაღებული პირ(ების, იარაღის, საბრძოლო მასალების ან სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნის/ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს სასაზღვრო პოლიციას ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ს“;

დ) გაუფრთხილდეს სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში არსებულ ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, ფლორასა და ფაუნას, ასევე, თავი შეიკავოს ისეთი ქმედების განხორციელებისგან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი დაზიანება ან განადგურება;

ე) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

2. სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში ყოფნისას პირს ეკრძალება:

ა) ისეთი ქმედების განხორციელება, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას;

ბ) ისეთი ქმედება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წყლის, ჰაერის ან/და ნიადაგის დაბინძურება;

გ) საქართველოს ან/და მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საზღვრის დაცვის ობიექტების, საზღვრის დაცვის საშუალებების, სასაზღვრო განწესების გადაადგილების ფოტო/ვიდეო/არო გადაღება. აღნიშნული აკრძალვის დარღვევის შემთხვევაში პირი ვალდებულია, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოთხოვნისთანავე წაშალოს/გაანადგუროს გადაღებული ფოტო/ვიდეომასალა;

დ) სასაზღვრო ნიშნებისა და საზღვრის დაცვის ობიექტების, სახელმწიფო საზღვრის კონტროლისა და დაცვის ტექნიკური საშუალებების დაზიანება ან განადგურება; ისეთი ქმედების განხორციელება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სასაზღვრო ინფრასტრუქტურის დაზიანება ან განადგურება;

ე) მოსაზღვრე სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ნივთის მიღება ან მისთვის რაიმე ნივთის გადაცემა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ვ) უშუალოდ სახელმწიფო საზღვრის ხაზზე გადაადგილება;

ზ) სასაზღვრო რეჟიმითა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სხვა ქმედება.



საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №456 – ვებგვერდი, 09.09.2021წ.

გამაფრთხილებელი ნიშნები

100 cm



100 cm



60 cm





გამაფრთხილებელი ნიშანი სასაზღვრო ზოლში ან/და ზონაში მყოფ პირს აუწყებს სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებულ ტერიტორიასთან მიახლოების ან ტერიტორიაზე ყოფნის თაობაზე, რომელზე გადაადგილებაც შესაბამისი წესების დაცვას მოითხოვს.

გამაფრთხილებელი ნიშანი თავსდება სასაზღვრო ზოლში ან/და ზონაში. გამაფრთხილებელ ნიშანს აქვს უნიკალური ნომერი. გამაფრთხილებელი ნიშანი ორენოვანია და მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე:

„ყურადღება! სასაზღვრო ზონა!“ – როდესაც გამაფრთხილებელი ნიშანი თავსდება სასაზღვრო ზონაში;

„ყურადღება! სასაზღვრო ზოლი!“ – როდესაც გამაფრთხილებელი ნიშანი თავსდება სასაზღვრო ზოლში;

„საშვისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე შესვლა აკრძალულია“;

„ATTENTION! BORDER ZONE! (ATTENTION! BORDER LINE!) NO ENTRY WITHOUT SPECIAL PERMIT AND IDENTITY DOCUMENT“;

„სასაზღვრო პოლიცია“ / „BORDER POLICE, TEL.: (+995 -----)“;

„112 – გადაუდებელი დახმარების ნომერი საქართველოში“;

„SINGLE EMERGENCY NUMBER IN GEORGIA“.

